

კორონავირუსის პანდემია
უფასო იურიდიული დახმარება და
ადამიანის უფლებების მონიტორინგი



ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)

2021

კორონავირუსის პანდემია – უფასო იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი

ანგარიში



Kingdom of the Netherlands

ანგარიში მომზადდა ადამიანის უფლებათა ცენტრის პროექტის „უფასო იურიდიული ადვოკატირება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ“ ფარგლებში, რომლის განხორციელება შესაძლებელი გახდა საქართველოში ნიდერლანდების საელჩოს მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საელჩოს პოზიციას.

2021

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

ავტორი: ლაზარე ჭიბლაძე

რედაქტირება: ალექო ცქიტიშვილი

ყდის დიზაინი/დაკაზადონება: ირმა მამასახლისი

არასამთავრობო ორგანიზაცია **ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)** დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელის წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrightshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი: 0160 თბილისი, ა. გახოვიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ვებ-პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ: www.humanrights.ge

ვებ-საიტი: hrc.ge

სარჩევი

შესავალი.....	4
პროექტის შესახებ	5
პოლიტიკური კონტექსტი.....	6
CHECK AND BALANCE.....	8
სამედისინო კრიზისი	10
საინფორმაციო და ტეხნოლოგიების ამაღლების კამპანია.....	11
სახელმწიფო კომპანისებები.....	12
საფინანსო ორგანიზაციები და მომხმარებელთა უფლებების დაცვა	13
კანდემია და განათლების უფლება	15
კანდემია და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებები.....	16
შეზღუდვები და დისკრიმინაციული პოლიტიკა	19
ვ.ტ.-ს საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.....	20
საკანონმდებლო ინიციატივა.....	21
დასკვნა.....	22

შესავალი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) ფართომასშტაბიანი გავრცელებამ მსოფლიო უპრეცედენტო გამოწვევის წინაშე დააყენა და გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჯერ გლობალურ საფრთხედ, შემდეგ კი პანდემიად გამოცხადებული ახალი კორონავირუსი თითქმის მთელ მსოფლიოში საგანგებო მდგომარეობის შემოღების მიზეზი გახდა. ასეთი ქვეყნების ჩამონათვალს, ოფიციალურად, საქართველო 2020 წლის 21 მარტს შეუერთდა, როცა ქვეყნის პრეზიდენტმა, პრემიერ მინისტრის წინასწარი წარდგინებით, გამოსცა N1 ბრძანება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“, რასაც, იმავე დღეს, საქართველოს პარლამენტმა დადგენილებით მხარი დაუჭირა¹.

ისტორია ცხადყოფს, რომ ბუნებრივი კატასტროფებისა თუ შეიარაღებული კონფლიქტებისას, ადამიანის უფლებები კრიზისის პირველი მსხვერპლი ხდება. უფლებებისა და თავისუფლებების უმრავლესობა, რომლებიც არ არის აბსოლუტური, შეიძლება, შეიზღუდოს მაშინაც, როდესაც კრიზისი ფართომასშტაბიანი არაა, თუ მას აქვს სამართლებრივი საფუძველი, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, მათ შორის - საზოგადოებრივ ჯანდაცვას და გაივლის აუცილებლობისა და პროპორციულობის ტესტს. ყოველი შემზღუდა დამატებით ხდება კანონის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის შემოწმების საგანი.

ორდინალურ სიტუაციაში თუკი ადამიანის უფლებათა შემზღუდა, ზემოთ ჩამოთვლილი პირობების დაცვით, დასაშვები და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, ფართომასშტაბიანი კრიზისების დროს, ადამიანის უფლებათა დაცვის ცალკეული ვალდებულებებიდან გადახვევა (derogation), საგანგებო ღონისძიებაა, რომელიც, *inter alia*, გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR). ამ პაქტის 4(1)-ე მუხლის თანახმად, მსგავს პირობებში დასაშვებია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისაგან გადახვევა². გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 მუხლი ნებას რთავს ხელშემკვრელ მხარეებს, გადაუხვიონ ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებს საგანგებო მდგომარეობის დროს. უდავოა, რომ COVID-19-ის პანდემია განეკუთვნება „საგანგებო მდგომარეობათა“ კატეგორიას.

¹იხ. „ადამიანის უფლებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ. 3. <http://hrc.ge/files/reports/12adaminais%20uflebebi%20sagangebo%20mdgomareobis%20pirobehshi-geo.pdf>

²იხ. UN Doc. A/56/40, Vol. I, 202 (2001), General Comment 29 [hereinafter GC 29], suggests that in practice no human rights provision can be entirely inapplicable to a state party.

ვაქცინის შექმნამდე, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და სხვადასხვა სახის შეზღუდვის პარალელურად, ვირუსის გავრცელებისა და ინფიცირების პროცესის შენელებისთვის ყველაზე მეტად სოციალური დისტანცია გამოიყენებოდა, რამაც გამოწვევების წინაშე დააყენა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტი. კრიზისის დაწყებისთანავე, საქართველოში მსგავსი სახის საფრთხის რეალურობა ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის საკუთარი უფლებადაცვითი საქმიანობის ანალიზითაც მალევე გახდა ცხადი, რასაც ორგანიზაცია არაერთი მიმართვითა და სხვადასხვა სახის პრობლემასთან დაკავშირებული ანალიტიკური დოკუმენტებით გამოეხმაურა³.

COVID-19-ის მიერ გამოწვეულ ფართომასშტაბიან პრობლემასთან რეაგირებისთვის, ადამიანის უფლებათა ცენტრმა სხვადასხვა სახის ღონისძიების დაგეგმვა 2020 წლის მარტიდან დაიწყო. მოქალაქეთა მომართვიანობისა და არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად, მით უფრო - პანდემიასთან ბრძოლისთვის მიღებული ზომების გათვალისწინებით, ცხადი გახდა, რომ ორგანიზაციას უფასო სამართლებრივი დახმარების პროგრამის გაძლიერება და სამიზნე აუდიტორიის მასშტაბების გაზრდა დასჭირდებოდა. ამ მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებულ პროექტს - „უფასო იურიდიული ადვოკატირება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ“, მხარი დაუჭირა საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩომ და სწორედ მისი ფინანსური მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი ამ პროექტის განხორციელება 2020 წლის 1 ივლისიდან, 2021 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

პროექტის შესახებ

პროექტის - „უფასო იურიდიული ადვოკატირება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ“ მიზანი, პანდემიის გავრცელების საპასუხოდ მიღებული ზომების, მათ შორის - საგანგებო მდგომარეობისა და მის შემდგომ პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის ხელშეწყობა, ბენეფიციართა სამართლებრივი დახმარება და სხვადასხვა ღონეზე ადვოკატირება იყო. ამასთან, პროექტი ერთ-ერთ მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდას პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებისა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ.

პროექტის განხორციელების ძირითადი არეალი მოიცავდა თბილისსა და საქართველოს ხუთ რეგიონს (შიდა ქართლი, კახეთი, ქვემო ქართლი, იმერეთი და

³იხ: 1) „ადამიანის უფლებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020. <http://hrc.ge/files/reports/12adaminais%20uflebebi%20sagangebo%20mdgomareobis%20pirobebshi-geo.pdf>; 2) „COVID 19 პანდემია და ადამიანის უფლებები“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020. <https://bit.ly/3z5W7PP>; 3) „ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოში, 2020“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021. გვ. 13. <https://bit.ly/3w81vQd>.

სამეგრელო), რომლებიც მათი გეოგრაფიული მდებარეობის, ეთნიკური თუ რელიგიური მრავალფეროვნებისა და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, წინასწარ შეირჩა.

პროექტი, ასევე, მოიცავდა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებისთვის დახმარებას, რათა შეემუშავებინათ ისეთი სტრატეგია და პოლიტიკა, რაც ხელს შეუწყობდა პანდემიის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას ყველაზე ნაკლები მსუსხავი ეფექტის მქონე მექანიზმებით, ადამიანის უფლებათა დარღვევების გარეშე.

პროექტის პირველადი ამოცანა, საგანგებო მდგომარეობის დროს და მის შემდეგ, ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების აღკვეთა იყო. ამ მიზნით, პროექტში ჩართული 4 იურისტი, პროექტის გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, უწყვეტად უწევდა მონიტორინგს ადამიანის უფლებების მდგომარეობასა და ამ მხრივ არსებულ გამოწვევებს. რეგიონების იურისტთა მიერ მოპოვებული და დოკუმენტირებული ინფორმაციის გადამუშავებით, თბილისის ოფისთან კოორდინირებით, პროექტის იურისტი-ანალიტიკოსი განსაზღვრავდა პრობლემის მოგვარების გზებს და გეგმავდა შესაბამისი ადვოკატირების პროცესს.

პოლიტიკური კონტექსტი

ადამიანის უფლებათა ცენტრმა პროექტი - „უფასო იურიდიული ადვოკატირება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ“, 2020 წლის 1 ივლისს დაიწყო. ამ დროისათვის, საქართველოს ხელისუფლებას უკვე ჰქონდა პანდემიასთან ბრძოლისთვის საჭირო მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელებული, მათ შორის - ადამიანის უფლებათა ფართომასშტაბიანი შეზღუდვების გზით.

პანდემიასთან ბრძოლის საწყის ეტაპზე, საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. პრეზიდენტის ეს ბრძანება და დეკრეტი, პრემიერ-მინისტრის თანაასიგნირებით, საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის 21 მარტს დაამტკიცა, რომელიც ჯერ 22 აპრილამდე გამოცხადდა, ხოლო მოგვიანებით, მისი მოქმედების ვადა 22 მაისამდე გახანგრძლივდა⁴. პრეზიდენტის დეკრეტით, შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, რომელთა შეზღუდვა საგანგებო მდგომარეობის დროს დასაშვებია. შეზღუდვა არ შეეხო მხოლოდ სიტყვის თავისუფლებას, რის გამოც მედიის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაეშუქებინათ მიმდინარე მოვლენები. ამასთან, პრეზიდენტის დეკრეტით, საქართველოს მთავრობას უფლებამოსილება მიენიჭა,

⁴იხ. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება N2, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4853172?publication=0>

დამატებით შეეზღუდა მთელი რიგი უფლებები ისე, რომ დეკრეტით უფლების შეზღუდვის ფარგლები არ იყო გათვალისწინებული.

პრეზიდენტის დეკრეტის თანახმად, განისაზღვრა საგანგებო მდგომარეობის წესების დარღვევისთვის შესაბამისი სანქცია. კერძოდ, ფიზიკური პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მისი 3000 ლარით დაჯარიმებას იწვევდა. იგივე ქმედების ჩადენისთვის, იურიდიული პირისთვის 15.000 ლარის ოდენობით ჯარიმა იყო გათვალისწინებული. დეკრეტშივე განისაზღვრა სანქცია ქმედების განმეორებითი ჩადენისთვის, რაც ფიზიკური პირის შემთხვევაში წარმოშობდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და სასჯელის ზომად 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - დაჯარიმებას, საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ან ლიკვიდაციას. ფიზიკური პირებისათვის დაწესებული ჯარიმის არაპროპორციულობას, რაც მისი სანქციის ზომაში გამოიხატებოდა, ადამიანის უფლებათა ცენტრი არაერთხელ გამოეხმაურა საჯარო განცხადებებითა თუ მიმართვით.

2020 წლის 22 მაისს, ცვლილებები შევიდა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რითაც მთავრობას უფლება მიეცა, მოენწესრიგებინა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა, პირთა გადაადგილება, პროფესიული და ეკონომიკური საქმიანობა, არალეგალური მიგრაცია/საერთაშორისო დაცვა, პირთა თავშეყრა საზოგადოებრივი ღონისძიებების გამართვის მიზნით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებისგან განსხვავებული წესით, მათ შორის - შესაბამისი დროებითი შეზღუდვების შემოღებით⁵. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის პროტესტის შედეგად, თავდაპირველად, აღნიშნულ დებულებათა მოქმედების საბოლოო ვადად 2021 წლის 15 ივლისი განისაზღვრა⁶.

ამდენად, პროექტის საწყის ეტაპზევე იდენტიფიცირებულ პრობლემათა შორის, მწვავედ იდგა საქართველოს ხელისუფლების მიერ კრიზისის საპასუხოდ მიღებული ზომების კონსტიტუციურობის, რიგ შემთხვევებში - მისი საჭიროებისა თუ პროპორციულობის საკითხი. ამასთან, დღემდე მწვავე პრობლემად რჩება კრიზისის საპასუხოდ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპების გვერდის ავლით განხორციელება და რიგ შემთხვევებში საპარლამენტო კონტროლის შესუსტება. გარდა ამისა, საკარანტინე ზომებისა და თვითიზოლაციის წესების დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმების მოცულობა საერთოდ არ შეესაბამებოდა და არ ითვალისწინებდა ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, რამაც პანდემიის პირობებში კიდევ უფრო გაამწვავა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

⁵იხ. კოვიდ 19, საგანგებო ზომები და სამოქალაქო თავისუფლებები საქართველოში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, გვ. 3 იხ. <http://hrc.ge/files/reports/16analitikal%20brief%20-geo.pdf>

⁶იხ. საქართველოს კანონი N 5972-სს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 22/05/2020. მუხლი 45¹. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4876537?publication=0>

პროექტის საწყის ეტაპზე, ქვეყანაში ჩანიშნული მორიგი, 2020 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გამო, მოიხსნა ან შემსუბუქდა მთელი რიგი შეზღუდვები. არჩევნების მე-2 ტურის დასრულების შემდგომ, ახალი კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდის გათვალისწინებით⁷, 2020 წლის 28 ნოემბერს, საქართველოს მთავრობამ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ახალი ცვლილებების საფუძველზე ფართო შეზღუდვები შემოიღო⁸, მათ შორის: მთელი ქვეყნის მასშტაბით გადაადგილების და საჯარო სივრცეში ყოფნის შეზღუდვა 21:00 საათიდან 05:00 საათამდე, საქალაქთაშორისო ტრანსპორტის (რკინიგზა, ავტობუსები, მიკროავტობუსები) აკრძალვა, მუნიციპალური ტრანსპორტის აკრძალვა დიდ ქალაქებში, რესტორნებისა და სხვა კვების ობიექტების დახურვა, კონფერენციების, ტრენინგების, კულტურული და გასართობი ღონისძიებების, ასევე სპორტული, სახელოვნობო და კულტურული საქმიანობის შეზღუდვა და ა.შ. ახალი რეგულაციების გათვალისწინებით, ფორმალურად არ შეზღუდულა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, მაგრამ ამ უფლებით მოსარგებლეთა ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების ცალკეულ შემთხვევებს მაინც ჰქონდა ადგილი. ამასთან, ღამის საათებში გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის შეჩერება, ამ უფლების პრაქტიკულ რეალიზებას, მთელი ამ დროის განმავლობაში, მკვეთრად აფერხებდა.

ამის შემდეგ, სხვადასხვა შეზღუდვების გამარტივებისა თუ ხელახლა დაწესების მიუხედავად, თავისუფლად გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვა, რომელიც თავისი შინაარსით ე.წ. კომენდანტის საათისგან თითქმის არ განსხვავდება, თითქმის 7 თვეა (2021 წლის 1 ივნისის მონაცემებით) მოქმედებს. ეს ერთადერთი შეზღუდვაა, რომელიც მეორედ დაწესების შემდეგ, არც წინა და არც მოქმედ სამთავრობო გუნდს არ მოუხსნია და გამონაკლისის სახით, მხოლოდ 4 ღამით გაუქმებით შემოიფარგლა.

CHECK AND BALANCE

კორონავირუსის პანდემიამ მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით კი დემოკრატიული საზოგადოებები არნახული პრობლემების წინაშე დააყენა. პანდემიასთან ბრძოლა და კრიზისთან გამკლავებისთვის აუცილებელი, სწრაფი რეაგირება, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა, რაც, მათ შორის, შეეხო კონტროლისა და ბალანსის (*check and balance*) მექანიზმსაც. ამ მხრივ, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენდა.

⁷ამ დროისათვის, ყოველდღიურად, ინფიცირების ახლადგამოვლენილ შემთხვევათა რიცხვი, დაახლოებით, 3800 ადამიანს აღწევდა.

⁸ ვრცლად: http://gov.ge/print.php?gg=1&sec_id=541&info_id=77898&lang_id=GEO

საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კრიტიკის საგნად იმთავითვე იქცა საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტი, რომლითაც, გარდა კონსტიტუციით პირდაპირ გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვებისა, საქართველოს მთავრობას უფლებამოსილება მიენიჭა, დამატებით შეეზღუდა მთელი რიგი უფლებები, ისე, რომ დეკრეტით უფლებების შეზღუდვის ფარგლები არ იყო გათვალისწინებული. პრობლემად რჩება 2020 წლის 22 მაისს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, საქართველოს მთავრობისთვის გაზრდილი უფლებამოსილებები და მასზე საპარლამენტო კონტროლის შესუსტებაც. აგრეთვე ღია სივრცეში პირბადის ტარების სანქცირება შესაბამისი პროცედურების დაცვით, სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის გარეშე.

მას შემდგომ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქეების მიერ მომზადებული „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცალკეული მუხლების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებული სარჩელი⁹, ადამიანის უფლებათა ცენტრის სტრატეგია სრულად იქნა მიმართული დაჯარიმებული მოსახლეობის დახმარებაზე, ინდივიდუალური საქმეების ბემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრებისკენ. პროექტის მიმდინარეობისას, გამოვლენილი ტენდენციით და ცალკეულ საჯარო მოხელეთა განცხადებების ანალიზის შედეგად, ნათელი გახდა, რომ სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკა არ შეიცვლებოდა. ასეთ ვითარებაში, სასამართლო ხელისუფლება ერთადერთი ინსტიტუცია გახდა, რომელსაც მოსახლეობის უკანონოდ დაჯარიმების შემთხვევების გამოსწორების გარდა, შესაძლებლობა აქვს, იმსჯელოს დაჯარიმებული ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რაც არაპროპორციულად მაღალი ჯარიმების ეფექტის შესუსტების ერთადერთ საშუალებად იქცა. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმოებაში არსებული საქმეებიდან, რომლებიც ამ ეტაპზე უკვე განიხილა სხვადასხვა რაიონულმა სასამართლომ, ტენდენცია დადებითია და, ძირითადად, მოსამართლეები ითვალისწინებენ პირის ინდივიდუალურ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას. ამის მიუხედავად, საქმეთა დიდი უმრავლესობა, კვლავ არ არის განხილული და დასრულებული, რის გამოც, ზოგად ტენდენციაზე მსჯელობა, ამ ეტაპზე, შეუძლებელია. ზოგადად, სასამართლო ხელისუფლება სრულად ვერ შეძლებს უზრუნველყოს სანქციის ზომის არაპროპორციულობის ნეგატიური შედეგების აღმოფხვრა, მაგრამ მას შეიძლება, ჰქონდეს

⁹იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე: “პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ელვარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ”: https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10658&fbclid=IwAR36UVFbVJCD9BvCDOVjLb439J_mzX_CpYX6OsebzD3ZbBRWSmaNXrx3tDo

შემამსუბუქებელი ეფექტი, რასაც შესაძლებელია, დადებითი გავლენა ჰქონდეს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. თავის მხრივ, სასამართლო ხელისუფლების ჰუმანურ და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, შეუძლია, დადებითი როლი შეასრულოს ამ ინსტიტუტისადმი მოსახლეობის ნდობის გაზრდის კუთხით. ამდენად, მომდევნო თვეებში, სასამართლოების მიერ მსგავსი შინაარსის საქმეების განხილვასთან ერთად, შესაძლებელი გახდება ამ კუთხით არსებული ტენდენციის გამოვლენა და გაანალიზებაც.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტებმა, 2020 წლის 1 აგვისტოდან 2021 წლის მაისის ჩათვლით, აწარმოეს 125 საქმე, რომელთაგან 48 საქმე წარმატებით დასრულდა. 7-მა ბენეფიციარმა, სხვადასხვა მიზეზით, უარი თქვა წარმოების გაგრძელებაზე, ხოლო ერთ შემთხვევაში, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის მოთხოვნა. დანარჩენი 69 საქმე მიმდინარეა, რომელზეც ორგანიზაციის იურისტები აგრძელებენ მუშაობას. ამ საქმეებიდან, კოვიდრეგულაციების გამო დაჯარიმების შემთხვევებს ეხებოდა საქმეთა საერთო რაოდენობის 43% (54 საქმე), რომელთაგან წარმატებით დასრულდა 5 საქმე, ექვსმა ადამიანმა გადაიფიქრა დავა, ხოლო დანარჩენი მიმდინარე საქმეებია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების მიერ, სააანგარიშო პერიოდში გაიცა 1842 უფასო იურიდიული კონსულტაცია. ამათგან, 960 პირადი, 669 სატელეფონო და 213 ონლაინ კონსულტაციის სახით. სქესის მიხედვით, კონსულტაციათა 52% ქალებზე (978 კონსულტაცია), ხოლო დანარჩენი 47 % მამაკაცებზე გაიცა (864).

სამედიცინო კრიზისი

ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას, ინფექციის გავრცელებასთან ერთად, ინფიცირებული ადამიანებისთვის სახელმწიფოს მხრიდან საჭირო სამედიცინო სერვისების მიწოდება წარმოადგენდა. ამ მხრივ, მდგომარეობა განსაკუთრებით დამძიმდა საპარლამენტო არჩევნების გამო შემსუბუქებული რეგულაციების ფონზე, ინფიცირებულთა რეკორდული ზრდისა და ვირუსის მეორე ტალღის პირობებში.

2020 წლის სექტემბერ-ოქტომბერში განსაკუთრებით გაიზარდა ადამიანის უფლებათა ცენტრისადმი იმ მოქალაქეთა მომართვიანობა, რომლებიც გადაუდებელი საჭიროების მიუხედავად, ვერ ახერხებდნენ საჭირო სამედიცინო სერვისებზე წვდომას. არსებულ პირობებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ და ცდილობდნენ მსგავსი საჭიროების მქონე მოქალაქეთათვის დახმარების გაწევას. ორგანიზაციის წარმომადგენელთა მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა იმ მოქალაქეთა ჰოსპიტალიზაცია, ვისაც, მკვეთრად გაუარესებული ჯანმრთელობის

მდგომარეობის მიუხედავად, შესაბამისი ორგანოები აუცილებელ დახმარებას არ უწევდნენ.

არსებული კრიზისის გათვალისწინებით, 2020 წლის ოქტომბერში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელა სპეციალური მიმართვა¹⁰, რომელიც, ძირითადად, შეეხებოდა ქუთაისში მცხოვრებ, კორონავირუსით დაავადებულ ხანდაზმულს, რომლის ჰოსპიტალიზაცია შესაბამისი უწყებებისადმი ორგანიზაციის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ მომხდარა. მიმართვის გავრცელების შემდგომ, პაციენტი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.

საინფორმაციო და სწავლების ამაღლების კამპანია

საქართველოში კოვიდ პანდემიასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია თავიდანვე არასრულყოფილად და ხარვეზებით წარიმართა. პირველ ეტაპზე განსაკუთრებულ პრობლემას საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ნაკლებად ინფორმირებულობა წარმოადგენდა, რისი მიზეზიც ხელისუფლების მიერ წარმოებული არაინკლუზიური საინფორმაციო კამპანია იყო¹¹. ასევე, კრიზისის საწყის ეტაპზე, ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის მომართვიანობისას, გამოიკვეთა ინფორმირებულობის პრობლემა ახალ რეგულაციებთან და საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმებთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, პროექტის ერთ-ერთ ამოცანად საგანგებო მდგომარეობის დროს და შემდეგ, ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება, საკუთარი უფლების დაცვის მექანიზმებისა და პროექტით გათვალისწინებული უფასო იურიდიული დახმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება განისაზღვრა. დასახული ამოცანის შესასრულებლად, ადამიანის უფლებათა ცენტრმა სხვადასხვა პლატფორმა გამოიყენა, მათ შორის - ორგანიზაციის ოფიციალური ვებგვერდი, სადაც პროექტის შესახებ ინფორმაციის განთავსების გარდა, აქტიურად შექდებოდა ორგანიზაციის საქმიანობა. აგრეთვე, მთელი პროექტის მიმდინარეობისას ორგანიზაციის და სხვადასხვა ტელე და რადიო მედიასაშუალებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შექდებოდა ინფორმაცია არსებული პრობლემების შესახებ; ამასთან, მედიის დახმარებით წარიმართა პროექტის სხვადასხვა ადვოკატირების კამპანიაც. აქტიურად გამოიყენებოდა ორგანიზაციის სოციალური მედიის (ფეისბუკი, ტვიტერი) გვერდებიც.

¹⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2020 წლის 9 ნოემბრის მიმართვა, ახალი კორონავირუსის პანდემიის გავრცელების თანმდევად შექმნილი სისტემური კრიზისის თაობაზე <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20272&lang=geo>

¹¹ იხ. „COVID 19 პანდემია და ადამიანის უფლებები“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ 3-4; <http://hrc.ge/files/reports/15pandemia%20da%20adamianis%20uflebebi-geo.pdf>

რეგიონებში ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობას. ამ მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებმა პროექტით გათვალისწინებულ საქართველოს ხუთ რეგიონში (20-ზე მეტი მუნიციპალიტეტი) და დედაქალაქის სხვადასხვა უბანში, ჯამში, 116 ვიზიტი განახორციელეს. შეხვედრები სხვადასხვა მუნიციპალური ცენტრისა თუ სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მთელი პროექტის განმავლობაში იმართებოდა. შეხვედრების ფარგლებში, ორგანიზაციის წარმომადგენლები მოსახლეობას ინფორმაციას აწვდიდნენ პროექტით გათვალისწინებული უფასო იურიდიული დახმარების შესახებ, ზოგადად აცნობდნენ საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციას და ადგილზე პასუხობდნენ მოსახლეობის შეკითხვებს, რომლებიც, ძირითადად, მათ სამართლებრივ თუ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს შეეხებოდა. ვიზიტების ფარგლებში, მოსახლეობას ურიგდებოდა პროექტის შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები, რაც, ასევე, შეიცავდა საკონტაქტო ინფორმაციას. საბოლოო ჯამში, ბენეფიციართა უმრავლესობას სწორედ ის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებმაც ინფორმაცია ორგანიზაციის საინფორმაციო კამპანიის შედეგად სხვადასხვა შეხვედრაზე მიიღეს.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროექტის ფარგლებში მომზადდა 24 სტატია, რომლებიც გამოაქვეყნა ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტგამოცემა humanrights.ge-მ. სტატიების შინაარსი, საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებთან ერთად, მოიცავს ადამიანის უფლებათა ცენტრის ბენეფიციარების გამოცდილებასა და ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

სახელმწიფო კომპენსაცია

პანდემიის შედეგებისა და მასთან ბრძოლისთვის გადადგმული ნაბიჯების გამო, საქართველოს ხელისუფლებამ დაზარალებული მოსახლეობის კომპენსირება და სოციალური ხელშეწყობა რამდენიმე ნაბიჯად განახორციელა¹². იმდროინდელი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას მიერ წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმის¹³ ხარვეზების გამო, შესაბამისი რეკომენდაციებით ადამიანის უფლებათა ცენტრმა იმთავითვე მოუწოდა ხელისუფლებას ამ პრობლემების აღმოფხვრისკენ¹⁴. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა საზოგადოებრივი

¹² იხ. „იმოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის No 322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. <https://bit.ly/3ygHGbs>.

¹³ იხ. ინფორმაცია ვრცლად: <https://netgazeti.ge/news/446340/>.

¹⁴ იხ. „ადამიანის უფლებები საგანგებო მდგომარეობის პირობებში“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020, გვ. 23-25: <http://hrc.ge/files/reports/12adaminais%20uflebebi%20sagangebo%20mdgomareobis%20pirobebshi-geo.pdf>

ორგანიზაციების რეკომენდაციები. შედეგად, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი დახმარების მიღმა დარჩა, რიგ შემთხვევებში კი, დახმარება ვერ პასუხობდა არსებულ გამოწვევებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის სოფლად მცხოვრები ბენეფიციარებისთვის, განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა 2020 წლის 12 მაისს წარმოდგენილი ანტიკრიზისული გეგმის ის ნაწილი, რომელიც ფერმერების დახმარებას ითვალისწინებდა. ამ პროგრამაში შედიოდა როგორც მაშინ არსებული მხარდამჭერი პროგრამები, ისე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დამატებითი რესურსები, რომლის მთლიანი ღირებულება 300 მილიონი ლარი იყო.

ახალი სახელმწიფო პროგრამა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მესაკუთრეთა სტიმულირება“ რამდენიმე პუნქტისგან შედგებოდა, რომელთაგან ყველაზე მეტი პრობლემა ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიერ მცირემიწიან ფერმერთა დახმარების პროგრამაში იდენტიფიცირდა, რომლის ჯამური ბიუჯეტი 37 მილიონი ლარი იყო.

სამწუხაროდ, მთავრობის სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისულმა გეგმამ ვერ უზრუნველყო არსებული პრობლემების აღმოფხვრა და კვლავ დახმარების მიღმა დატოვა სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ის პირები და ფერმერები, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერას. პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა სპეციალური მიმართვა გაავრცელა¹⁵ და მოუწოდა საქართველოს მთავრობას, გაეთვალისწინებინა რეკომენდაციები, რითაც მცირემიწიანი ფერმერებისა და იმ პირთა უფლებების დაცვა გახდებოდა შესაძლებელი, რომელთა მიწის ნაკვეთები, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. მონოდების მიუხედავად, ხარვეზების სისტემური აღმოფხვრა არ მომხდარა. ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტების დახმარებით, რამდენიმე ფერმერისთვის შესაძლებელი გახდა კუთვნილი დახმარებების მიღება.

საფინანსო ორგანიზაციები და მომხმარებელთა უფლებების დაცვა

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, განსაკუთრებით გაიზარდა უმუშევრად დარჩენილი ადამიანების, დახურული თუ შეჩერებული ბიზნესებისა და საფინანსო ვალდებულებებით დამძიმებული მოქალაქეების რაოდენობა. ამიტომ პროექტის მიმდინარეობისას, ბენეფიციართა მომართვიანობის დიდი ნაწილი უკავშირდებოდა ბანკებსა და სხვა საფინანსო

¹⁵იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიმართვა, სახელმწიფო სუბსიდიებთან და მასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, 08.10.2020 <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20238&lang=geo>

ორგანიზაციებში მოქალაქეთა ფინანსურ ვალდებულებებს, რასაც მტკივნეული ეფექტი ჰქონდა პანდემიით შექმნილი კრიზისისა და ლარის გაუფასურების ფონზე.

შექმნილი კრიზისის გათვალისწინებით და ხელისუფლების შუამავლობით, საქართველოში მოქმედმა რამდენიმე კომერციულმა ბანკმა 2020 წლის მარტში მომხმარებელს სამთვიანი საშელავათო პერიოდით სარგებლობა შესთავაზა. სესხების გადავადება პროცენტის კაპიტალიზაციის გარეშე უნდა მომხდარიყო. სამი თვის გასვლის შემდეგ, კომერციულმა ბანკებმა ვალის გადახდა კიდევ 3 თვით გადაავადეს. თუმცა, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ამ პროცესს უხარვეზოდ არ ჩაუვლია და გამოვლინდა მთელი რიგი პრობლემები. ბენეფიციართა პრეტენზიები ძირითადად ეხებოდა თანხმობის გარეშე სესხის გადავადებას, რიგ შემთხვევებში კი - სესხის გადაუვადებლობას, შეუსაბამოდ გაზრდილ პროცენტსა თუ ძირ თანხას, ვადის გადაცილების გამო დაჯარიმებასა და ა.შ.

ცალკეულ საქმეთა წარმოებაში მიღების პარალელურად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით, 2020 წლის ოქტომბერში, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელა საჯარო მიმართვა, რითაც კომერციულ ბანკებსა და სხვა საფინანსო ორგანიზაციებს საკუთარი მომხმარებლების უფლებების დაცვის გაძლიერებისკენ მოუწოდა¹⁶. მოგვიანებით სიტუაცია შედარებით გაუმჯობესდა, რაზეც მომართვიანობის შემცირებასთან ერთად, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ წარმატებით დასრულებული სხვადასხვა საქმეც მიუთითებს¹⁷.

2021 წლის იანვარ-თებერვალში ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარების თხოვნით ასევე მიმართეს კორონავირუსის ეპიდემიის/პანდემიის გავრცელების პერიოდში დაზარალებულმა მოქალაქეებმა, რომლებსაც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის N286 დადგენილებით, 2021 წლის იანვრიდან წარმოეშვათ 200-ლარიანი სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება. მთავრობის ამ დადგენილებაში განმარტებულია, რომ პროგრამით გათვალისწინებული კომპენსაცია არ ექვემდებარება ყადაღას („სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად) და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებებს (საბანკო ანგარიშზე/ანგარიშებზე საინკასო დავალებას/ყადაღას). მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პირებს კომპენსაციის სახით საბანკო ანგარიშებზე დარიცხული თანხა ჩამოეჭრათ.

¹⁶იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2020 წლის 8 ოქტომბრის მიმართვა ბანკებს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის გასაძლიერებლად <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20239&lang=geo>

¹⁷იხ. სტატია: „ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარებით, მოქალაქე შეუსაბამოდ გაზრდილ სესხს აღარ გადაიხდის“, 02.10.2020 <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20235&lang=geo>

ამ საკითხთან დაკავშირებით 2021 წლის 3 თებერვალს ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელა საჯარო მიმართვა¹⁸, რომელიც პრობლემის აღწერასთან ერთად, მოიცავდა მონოდებას, როგორც ხელისუფლების, ისე თავად კომერციული ბანკებისადმი. ამ მიმართვის გასაჯაროების შემდგომ და მედიის დაინტერესების პარალელურად, პრობლემით მალევე დაინტერესდა ა(ა)იპ საქართველოს საბანკო ასოციაციისა და სხვა კომერციული ბანკების წარმომადგენლობა. მათივე თხოვნით, მალევე გაიმართა ონლაინ შეხვედრა, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებსა, ხოლო მეორე მხრივ, საბანკო ასოციაციისა და დაინტერესებული კომერციული ბანკების წარმომადგენლებს შორის. ინფორმაციის დეტალურად მიწოდებისა და პრობლემების შესახებ ინფორმაციის გაცნობის შემდგომ, ორგანიზაციამ მიიღო მისი უმოკლეს ვადებში მოგვარების პირობა. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ ადამიანის უფლებათა ცენტრის ბენეფიციარების გარდა, მსგავსი პრობლემა ყველა სხვა მომხმარებელსაც მოუგვარდა¹⁹.

პანდემია და განათლების უფლება

პანდემიით გამოწვეული კრიზისის პირობებში, ონლაინ სწავლება უალტერნატივო გზა აღმოჩნდა საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მსგავსად, საქართველოშიც მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა ონლაინ სწავლების პროცესში მოსწავლეთა სრულად ჩართულობა. ძირითად შემთხვევებში, პრობლემები განპირობებული იყო დისტანციური სწავლებისთვის საჭირო პირობების, ინტერნეტისა თუ საჭირო ტექნიკური მოწყობილობების არქონით. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ რეგიონებში მცხოვრები ბავშვების წინაშე დადგა.

ს(ს)იპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ 2020 წლის მარტში ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, ზოგადი განათლების სისტემაში იმ დროისათვის 528,426 მოსწავლე იყო რეგისტრირებული, ამათგან 12%-ს (63,272 მოსწავლე) სახლიდან არ ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა, ხოლო 14%-ს (71,796 მოსწავლე) კი არ ჰქონდა კომპიუტერული მოწყობილობა²⁰.

2020 წლის ნოემბერში ჩატარებული იგივე შინაარსის კვლევა, რომელიც მხოლოდ ქალაქებში არსებულ სიტუაციას აღწერს, რამდენადაც ამ დროისათვის დისტანციური სწავლება მხოლოდ დიდ ქალაქებში მიმდინარეობდა, განსხვავებულ

¹⁸იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 3 თებერვლის მიმართვა საქართველოს მთავრობას, კორონავირუსის პანდემიის პირობებში დაზარალებული მოქალაქეების კომპენსაციებთან დაკავშირებით: <https://bit.ly/3x3Omb1>.

¹⁹იხ. სტატია: „ბანკებმა პანდემიით დაზარალებულ ადამიანებს ჩამოჭრილი სახელმწიფო დახმარება უკან დაუბრუნეს“, 21.02.2021 <https://bit.ly/350g50t>

²⁰იხ. „პანდემია და ზოგადი განათლება საქართველოში“, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2020 http://mes.gov.ge/mesgifs/1609239131_2020_Angarishi.pdf

შედეგებს იძლევა. ანგარიშში წარმოდგენილი სტატისტიკა, რომელიც მხოლოდ დიდ ქალაქებს მოიცავს, აჩვენებს, რომ აქ მცხოვრებ მოსწავლეთა 3,4%-ს არ აქვს ინტერნეტი, ხოლო 2,4%-ს - საჭირო ტექნიკა.

მსოფლიოს მსგავსად, საქართველოშიც, პანდემიის გამო შექმნილ კრიზისში ყველაზე დაუცველი ფენა სწორედ სოციალურად დაუცველი და მცირე შემოსავლის მქონე ადამიანები აღმოჩნდნენ. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მონყვლადი კატეგორია ასეთი ოჯახებში მცხოვრები ბავშვები არიან, განსაკუთრებით კი მამინ, როცა ოჯახში რამდენიმე არასრულწლოვანი ერთად ცხოვრობს.

პროექტის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ცენტრი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ყველაზე მონყვლად ჯგუფებს. ბავშვებისთვის განათლების უფლების რეალიზების გაუარესების გამო, ორგანიზაცია მუდმივად ცდილობდა პროექტის დაფარვის არეალში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას, რეგიონებში შეხვედრებისას კი, ეს თემა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენდა.

რეგიონებში ადამიანის უფლებათა ცენტრს სამართლებრივი დახმარების მისაღებად არაერთმა მოქალაქემ მიმართა, რომელთა შვილებიც ვერ იღებდნენ განათლებას, მძიმე სოციალური ყოფის გამო. მთელი ამ დროის განმავლობაში, სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებასთან ერთად, ორგანიზაციის იურისტები აქტიურად მიმართავდნენ ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას, რათა უმოკლეს ვადებში მომხდარიყო ასეთი საჭიროების მქონე ბავშვთა უზრუნველყოფა ინტერნეტით ან/და შესაბამისი ტექნიკით. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ცენტრის დახმარებით და შუამდგომლობით, არაერთმა ბავშვმა მიიღო შესაბამისი დახმარება და მიეცა სწავლის ონლაინ რეჟიმში გაგრძელების საშუალება²¹.

პანდემია და კონფლიქტით დაზარალებულ პირთა უფლებები

არაერთი საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციის ცნობით, რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების შესახებ ინფორმაცია კორონავირუსის გავრცელებამდეც მუდმივად ვრცელდებოდა. თუმცა, პანდემიის კრიზისმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების მძიმე უფლებრივი მდგომარეობა. საქართველოს ხელისუფლება რაკი ვერ ახორციელებს საკუთარ სუვერენულ იურისდიქციას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, შესაბამისი სამედიცინო სერვისებისა თუ სოციალური ბენეფიტების მისაღებად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოქალაქეებს ადმინისტრაციული საზღვრები უნდა გადმოელახათ და საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსულიყვნენ.

²¹იხ. სტატია: „ბავშვები განათლების მიღმა“, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020
<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=20302&lang=geo>

პანდემიის პირობებში, გასაკუთრებით შეიზღუდა გადაადგილებისა და მიმოსვლის თავისუფლება.

ვირუსის გავრცელების საწყისი ეტაპიდან, თითქმის ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში, გალის რაიონის მცხოვრებლებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა არ ჰქონდათ. საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის 2021 წლის 11 თებერვლის განცხადებით, ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით გადაადგილება 2021 წლის 12 თებერვლის დღის პირველი ნახევრიდან, ორმხრივად, ხანდაზმულებისთვის, პენსიონერებისთვის, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის და სხვა კატეგორიის ადამიანებისთვის გაიხსნებოდა. თუმცა, ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, თეა ახვლედიანმა განმარტა, რომ 2021 წლის 1 თებერვლამდე საკარანტინე ვადა 12-დღიანი იყო, ხოლო 11 თებერვლიდან ოკუპირებული რეგიონებიდან გადმომსვლელთათვის ის 5-დღიანი გახდებოდა და მათ სივრცის დატოვება PCR ტესტირების უარყოფითი შედეგისა და საკარანტინე ვადის ამოწურვის შემდეგ ექნებოდათ.

კრიზისის დროს ოკუპირებული ტერიტორიიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის ძირითადი მიზეზი სამედიცინო სერვისებით სარგებლობა იყო, ხშირად კი მათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდათ. ამდენად, ხელისუფლების მსგავსი პოლიტიკა დიდი ხნის განმავლობაში იყო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოების ჯგუფების პროტესტის საგანი.

იძულებით საკარანტინე ზომებს 2021 წლის 16 მარტს, გალელი ექთანიც ემსხვერპლა. როგორც გაირკვა, გარდაცვლილი ექთანი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე სწორედ სამკურნალოდ გადმოვიდა. არსებული ინფორმაციით, ექთანს გულის შეტევის ნიშნები ჰქონდა, მაგრამ იმდროინდელი რეგულაციების გათვალისწინებით, იგი საავადმყოფოს ნაცვლად კარანტინში მოათავსეს. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის სიმძიმის გათვალისწინებით, მისი გადმოყვანა გალის რაიონიდან რეანომობილით მოხდა. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, მიუხედავად სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის მცდელობისა, პაციენტის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელა სპეციალური მიმართვა, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან შემოსული ადამიანების კარანტინში იძულებითი მოთავსების არათანაბომიერ პრაქტიკას შეეხებოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას: ოკუპირებული ტერიტორიებიდან სამკურნალოდ შემოსულ ადამიანთა კარანტინის გავლის აუცილებლობის შეცვლისა და მიდგომის

ინდივიდუალიზაციისკენ; საკარანტინე ზონებში სამედიცინო ზედამხედველობის გაძლიერებისა და შესაბამისი ჩივილების არსებობის შემთხვევაში, სწრაფი და ადეკვატური ზომების მიღებისკენ; საყოველთაო ვაქცინაციის პროცესში, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისადმი ყურადღების გაძლიერებისა და მათ ჩართვამდე²².

მიუხედავად არაერთი მონოდებისა, საქართველოს ხელისუფლებამ ეს პრაქტიკა მხოლოდ მას შემდგომ შეცვალა, რაც 2021 წლის 7 აპრილს ცნობილი გახდა, რომ ოკუპირებული აფხაზეთიდან თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლისას, მდინარე ენგურში გალის რაიონის მკვიდრი საქართველოს ოთხი მოქალაქე დაიხრჩო²³.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გადაადგილებაზე დაწესებული მკაცრი ზომების პარალელურად, სოხუმში დაფუძნებული მედიასააგენტოს, „აფსნიპრესის“ ცნობით²⁴, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2021 წლის მხოლოდ პირველ სამ თვეში გალის რაიონის 3 000-მდე მცხოვრები დააკავა დანარჩენ საქართველოში „უკანონოდ“ გადმოსვლის მცდელობისათვის. ამ ფონზე კი, ოფიციალური თბილისის პოლიტიკა, გამყოფი საოკუპაციო ხაზის კვეთის შემდგომ იძულებით საკარანტინე სივრცეში 12-დღიან მოთავსებასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო ართულებდა იქ მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობას.

განსაკუთრებით მძიმეა სიტუაცია ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, სადაც დე ფაქტო რეჟიმის მიერ ე.წ. გამშვები პუნქტი უკვე წელიწადსა და 7 თვეზე მეტია ჩაკეტილი. მძიმე მდგომარეობის გამო რეგიონში მწვავე ჰუმანიტარული კრიზისია. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატზე დაყრდნობით, ე.წ. გადასასვლელი პუნქტების გაუქმებამ ახალგორში უკვე 16 ადამიანი იმსხვერპლა. არაოფიციალური მონაცემებით, 25-ზე მეტია იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც ჯანდაცვის სერვისებზე ხელმიუწვდომლობის გამო დაიღუპნენ²⁵.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის, ანატოლი ბიბილოვის მიერ დადგენილი წესით, ნებისმიერმა პაციენტმა, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე კლინიკებში მკურნალობისთვის სპეციალური ნებართვა უნდა მიიღოს. ამისათვის ავადმყოფმა ჯერ ახალგორის საავადმყოფოს უნდა მიმართოს, სამედიცინო კომისიის დაკვირვებისა და თანხმობის შემთხვევაში, ცხინვალში მკურნალობის კურსი გაიაროს და იქაც თუ შეუძლებელი გახდა გამოჯანმრთელება, მხოლოდ ამის შემდეგ, შესაძლოა, გასცენ დასკვნა თბილისში გადაყვანაზე. ამ

²²ადამიანის უფლებათა ცენტრის 2020 წლის 20 აპრილის განცხადება, გალის რაიონიდან გადმოსული ექთნის ანაკლიის საკარანტინე სივრცეში გარდაცვალების ფაქტზე: <https://bit.ly/33ROMoH>

²³ვრცლად: <https://civil.ge/ka/archives/411072>

²⁴იხ. „აფსნიპრესის“ სტატია: <https://bit.ly/2RrdauH>

²⁵შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2020 წლის 15 ნოემბრის განცხადება: „საოკუპაციო რეჟიმის გულგრილმა დამოკიდებულებამ მორიგი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა“: <https://bit.ly/3f0G2TL>

ბიუროკრატია 10-20 დღე მაინც სჭირდება, რასაც მძიმე პაციენტების შემთხვევაში, ხშირად ფატალურ შედეგებამდე მივყავართ.

შეზღუდვა და დისკრიმინაციული პოლიტიკა

COVID-19-ის პანდემიის საპასუხოდ გატარებული მთელი რიგი ღონისძიებები და დაწესებული შეზღუდვები საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო. შეზღუდვებმა გავლენა იქონია ქვეყანაში რელიგიის თავისუფლებით შეუფერხებელ რეალიზებაზეც. გადაადგილებსა თუ შეკრებასთან დაკავშირებით შემოღებული რეგულაციებით, ირიბად შეიზღუდა რელიგიის თავისუფლების გარე სფერო (Forum Externum). მიუხედავად იმისა, რომ მსგავსმა შეზღუდვებმა მეტ-ნაკლებად ყველა კონფესიის წარმომადგენელსა თუ მიმდევარს შეუქმნა დისკომფორტი, ამ პერიოდშიც, საქართველოს ხელისუფლება მუდმივად ავლენდა არასეკულარულ და დიფერენცირებულ დამოკიდებულებას საქართველოს მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიასა და სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს შორის. წლების განმავლობაში, რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით, სახელმწიფო პოლიტიკის არაეფექტიანობასთან ერთად, სულ უფრო აშკარა ხდება დომინანტი რელიგიური ინსტიტუციისა და გაბატონებული ეთნო-რელიგიური ნაციონალიზმის იდეოლოგიისადმი ხელისუფლების წარმომადგენელთა ღია ლოიალობა.

2020 წლის 21 მარტს, პანდემიის გავრცელებასთან ბრძოლის მიზნით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პირობებში, ხელისუფლებას არ შეუშუავებია დამატებითი რეგულაციები რელიგიური ორგანიზაციებისთვის, მაგრამ რელიგიური მიზნებით შეკრებების მხრივ, მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი მრევლის ინტერესები გაითვალისწინა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირთათვის, არ მოქმედებდა შეკრებასა თუ გადაადგილებასთან დაკავშირებით თითქმის არანაირი შეზღუდვა, როცა არადომინანტი რელიგიური ჯგუფებისა და მათი წარმომადგენლებისთვის მსგავსი პრივილეგიები საერთოდ არ იყო ხელშესახები, გარდა სოციალური მომსახურების განსახორციელებლად გაცემული რამდენიმე სამანქანო საშვისა. მიუხედავად არადომინანტი რელიგიური ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების არაერთი მოთხოვნისა²⁶, ხელისუფლებას არანაირი შემხვედრი ნაბიჯი არ გადაუდგამს. მეტიც, გასულ და მიმდინარე წელს ქრისტიანული ღვთაებასა და მართლმადიდებლურ ეკლესიასა და მის მრევლზე მინიჭებული პრივილეგიით, ხოლო სხვა რელიგიებისთვის

²⁶იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება რელიგიის თავისუფლების შეზღუდვისა და დისკრიმინაციული სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, 17,01,2021 <http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=20309&lang=geo>

მნიშვნელოვანი დღესასწაულების იგნორირებით, ხელისუფლებამ განაგრძო საკუთარი დისკრიმინაციული პოლიტიკის გატარება.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა საქართველოს ხელისუფლებას მიმართა და მოუწოდა, დარჩეს ლიბერალ-დემოკრატიული პრინციპების ერთგული და გაატაროს თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკა, რომელიც გამოირიცხავს ადამიანების რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციას²⁷. სამწუხაროდ, მსგავსი მიდგომა არ შეცვლილა არც 2021 წელს განხორციელებული სამთავრობო ცვლილებებისა და ახალი ადმინისტრაციის პირობებში.

3.0.-ს საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

პანდემიის პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს, მათ შორის - სტრატეგიული სამართალწარმოების კუთხითაც. ორგანიზაციას სამართლებრივი დახმარებისთვის მომართა მოქალაქე ვ.ტ.-მ, რომელიც, მისი განცხადებით, დაექვემდებარა დამამცირებელ, არადამიანურ მოპყრობას პოლიციელების მხრიდან როგორც დაკავებისას, ისე დაკავების შემდეგ, პოლიციის შენობაში.

ვ.ტ.-ს განცხადებით, საგანგებო მდგომარეობის პირობებში, როდესაც აპლიკანტი მოძრაობდა ველოსიპედით საკუთარი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, პოლიციის წარმომადგენლებმა, სრულიად უსაფუძვლოდ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და შემდეგ, ფიზიკური ძალის გამოყენებით წაართვეს ის ტელეფონი, რითაც აფიქსირებდა მათ მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებს. ტელეფონის წართმევის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტი გამოხატავდა მზადყოფნას, თავად გაჰყოლოდა პოლიციის შენობაში, ის მაინც დემონსტრაციულად დააკავეს და ჩასვეს ავტომობილში, სადაც სცემეს. პოლიციის შენობის ოთახში პოლიციელებმა იგი კვლავ უმოწყალოდ სცემეს და დაახლოებით 4 საათის განმავლობაში ამ ოთახში გამოკეტეს. მიუხედავად იმისა, რომ გაუსაძლისი ტკივილები აწუხებდა და ექიმის დახმარებას ითხოვდა, პოლიციამ არც ექიმი გამოიძახა და არც ტკივილგამაყუჩებელი მისცეს. დაკავებულს ასევე არ მისცეს საშუალება, სახლში ან ადვოკატთან დაერევა. ვ.ტ.-ს განცხადებით, პოლიციელები მასთან ოთახში შედიოდნენ და დასცინოდნენ, აგინებდნენ, ემუქრებოდნენ სიცოცხლის მოსპობით. სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა გასცდა იმ მინიმალურ ზღვარს, რის შემდეგაც პოლიციელთა ქმედებები უნდა იქნეს მიჩნეული დამამცირებელ, არადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობად, მით უმეტეს, როდესაც საქმე გვაქვს დაკავებულ პირთან.

²⁷ იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის 2021 წლის 1 მაისის მიმართვა ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკის თაობაზე <https://bit.ly/3wdAD15>

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ვ.ტ.-ს ინტერესების დასაცავად ეროვნულ დონეზე ყველა სამართლებრივი მექანიზმი ამოწურა, რის შემდეგაც იგი ჯერ კიდევ არ არის ცნობილი დაბარალეზულად. როგორც საქმის მსვლელობიდან ჩანს, სახელომნიფოს მხრიდან არ არსებობს ამ საქმის ეფექტურად გამოძიებისა და დამნაშავე პოლიციელების დასჯის ნება. შესაბამისად, შეუძლებელია, ვ.ტ.-ს მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე ჯერ კიდევ მიმდინარე გამოძიება ჩაითვალოს ეფექტურად. ამიტომ ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნად, რითაც ითხოვს აღიარებას, რომ სახელომნიფომ ვერ უზრუნველყო ვ.ტ.-ს მიმართ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებებით კონვენციის მე-3 და მე-5 მუხლებით გარანტირებული უფლებების დაცვა.

საკანონმდებლო ინიციატივა

COVID-19-ის პერიოდში, გაიზარდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეების რაოდენობრივი მაჩვენებელიც, სადაც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირები დააკავეს. თუმცა, სასამართლო ადმინისტრაციული გადაცდომის დადგენასთან ერთად, არ მსჯელობს პასუხისგებაში მიცემული პირის დაკავების კანონიერების შემოწმების თაობაზე დამატებითი საჩივრის გარეშე. ასეთ შემთხვევებში, მოსარჩელები შეიძლება, გათავისუფლდნენ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ ეს თავისთავად არ გულისხმობს მათი დაკავების უკანონობის აღიარებას. ამიტომ, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის თანახმად, ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 267-ე მუხლში და *„იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების საქმეებზე, სადაც განხორციელდა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დაკავება, საქმის განხილველმა სასამართლომ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან ერთად, დადგენილებით უნდა გადაწყვიტოს ასევე დაკავების კანონიერების საკითხი“*.

პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ქვეყანაში საბჭოთა პერიოდიდან მოქმედი ერთ-ერთი ყველაზე რეპრესიული საკანონმდებლო აქტია, რომელიც ადამიანის უფლებათა ძირითად პრინციპებს აშკარად ვერ პასუხობს. კოდექსი სათანადოდ ვერ იცავს მოქალაქეს სამართალდამცავის თვითნებობისგან და სამართალწარმოების პროცესში მოქალაქე არ არის დაცვის საკმარისი მექანიზმებით აღჭურვილი.

დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, სასამართლოები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებთან ერთად, არ იხილავენ დაკავების კანონიერების საკითხს. კოდექსის 251-ე მუხლის მიხედვით,

ადმინისტრაციული დაკავება დაინტერესებულმა პირებმა შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. საჩივრის არარსებობის შემთხვევაში არ მოწმდება დაკავების კანონიერება. ასეთი ჩანაწერი, ერთი მხრივ, ართმევს შესაძლებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველ სასამართლოს, შეაფასოს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დაკავების კანონიერება, მეორე მხრივ კი ეწინააღმდეგება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების პრინციპს, რამდენადაც ერთი საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, უნდა იმსჯელოს სხვადასხვა მოსამართლემ.

არსებული პრაქტიკის გათალისწინებით, დღის წესრიგში დადგა თავად აღნიშნული საკითხის მომწესრიგებელ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის გზით, ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტის განმტკიცება. ამ მიზნით, ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით წარედგინება საქართველოს პარლამენტს განსახილველად. პარალელურად, ადვოკატირების ფარგლებში, იგეგმება სამუშაო შეხვედრები პარლამენტში სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან, მხარდაჭერის მოპოვებისა და პრობლემისადმი სენსიტიურობის გაზრდის მიზნით.

დასკვა

პანდემიის გავრცელების შესაკავებლად მიმართული სხვადასხვა ქმედებების შედეგად, საქართველო, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კრიზისის მძიმე შედეგებზე მეტყველებს როგორც ინფექციით გარდაცვლილი და დაავადებული ადამიანების რაოდენობა, ისე ადამიანის უფლებების მასშტაბური შეზღუდვები და სხვადასხვა მიმართულებით ადამიანის უფლებათა სტანდარტის დაცვის გაუარესება. პანდემიის შედეგები უკვე ხილულია ეკონომიკური პარამეტრებით და გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით.

ამ ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა განუხრელი დაცვით წარმართოს სახელმწიფოს პოლიტიკა როგორც კრიზისთან ბრძოლისას, ისე მისგან გამოსვლის პირობებში. პანდემიამ და მისმა მასშტაბებმა უკვე ცხადყო, რომ მასთან ბრძოლა მხოლოდ მსოფლიოს ერთიანი ძალისხმევითაა შესაძლებელი. ვირუსი არ ახდენს ადამიანების დისკრიმინაციას რაიმე ნიშნით. სამწუხაროდ, ამას თავად ადამიანები აკეთებენ, რიგ შემთხვევებში, მდიდარი ქვეყნები - ღარიბი ქვეყნების მიმართ, ხშირად კი ხელისუფლებები საკუთარი მოქალაქეებისადმი. პანდემიის კრიზისმა კიდევ ერთხელ დაგვანახა სოლიდარობის არა მხოლოდ როლი ან მისი მნიშვნელობა, არამედ მისი საჭიროებაც. ეს საკითხი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მოსახლეობის

ვაქცინაციის პროცესში, ვაქცინაზე წვდომის, სწორ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და სხვა მიმართულებებით.

პროექტი - „უფასო იურიდიული ადვოკატირება და ადამიანის უფლებების მონიტორინგი კორონავირუსის პანდემიის შემდეგ“ სწორედ ადამიანების გაძლიერებასა და მათი უფლებების დაცვისკენ იყო მიმართული, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. ორგანიზაცია კვლავ აგრძელებს პანდემიით დაზარალებული ადამიანების უფლებების დაცვას, რაც კრიზისის დასრულების შემდგომ, პოსტპანდემიურ რეალობაშიც აქტიურად გაგრძელდება.